MES 0 20 0001192622

11/12/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.11.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:40 სთ
საბჭოსთავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტის მიმართულებით
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
15. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

ს

სიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ნინო შიოშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ნათია სამუშია		პრორექტორი	I
2.	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	I

3.	ანკა თაბუკაშვილი	ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I
4.	მარიამ გაბუნია		ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	I
5.	თამუნა გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	I
6.	შაკო თავაძე		სტუდენტების დეკანი	I
7.	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მათვის მენეჯერი	
8.	მარიამ ჯაფარიძე		საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	I
9.	თეო ურუშაძე		აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი	I
10.	რევაზ კორაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	I
11.	გიორგი ამილახვარი	შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	II, III
12.	ნათია ვაჭარაძე		ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი	II, III
13.	ნანა ჯანაშია		სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი	II, III
14.	ქეთევან ცხადაძე		სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III
15.	ირმა ნოზაძე		სამართლის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი	II, III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ელინა ბაქრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ინგა ბოჭოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ლევან მოსახლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
4	ნინო ბოგვერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
5	კონსტანტინე ებრალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N774, 11/12/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქიმია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციისდასახელება	ქიმიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ქიმია, 0531
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტებისჯამურირაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 240, თბილისი, 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებსმიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, სააკრედიტაციო ვიზიტი აგრარულ უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 10 სექტემბერს, დილის 10 საათიდან 19:00 სთ-მდე. ექპერტთა ჯგუფი შედგებოდა სამი წევრისგან. შეხვედრა განხორციელდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, მოქმედ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. პროგრამა არის 4 წლიანი და მოიცავს 240 კრედიტს, აქედან ზოგად განათლებას 50 კრედიტი ეკუთვნის, 33 კრედიტი- მიმართულების ზოგად განათლებას, 42 ქიმის საბაზო განათლებას, 87 ქიმიის ძირითად განათლებას, 8კრედიტი პრაქტიკულ განათლებას ხოლო 20 კრედიტი არჩევით საგნებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემული იქნა ერთი რეკომენდაცია და 4 რჩევა, ამასთან თანდართული არის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებიც.
რეკომენდაციის თანახმად, ჯუნიორ პროექტის და სენიორ პროექტი 2-ის სწავლის შედეგები უნდა გაიწეროს კონკრეტულად, თითოეული სასწავლო კურსის მიხედით მინიჭებული კრედიტების შესაბამისად, უფრო კონკრეტულად ჯუნიორ პროქეტისთვის გამოყოფილია 7 კრედიტი, რაც მოიცავს ლაბორატორიისთვის და სემინარის დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილ საათებს ხოლო სენიორ პროექტი 2-ისთვის განკუთვნილია 8 კრედიტი. მინისტრის ბრძანების შესაბამისად, კრედიტების განაწილება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის, კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგების საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს მოიცავს. ექპერტთა ჯგუფისთვის მისაღებია უნივერსიტეტის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ თითოეული იდენტური სწავლის შედეგების შემთხვევაში სხვადასხვა შედეგები მოიზრება, მაგრამ მაინც მიიჩნიეს, რომ აუცილებელია დაკონკრეტება თუ რას მოიაზრებენ თითეულ სწავლის შედეგში. ორივე კომპონენტს აქვს ერთიდაიგივე მიზანი ხოლო სწავლის შედეგები მსგავსია. სენიორ პროექტი 2-ს, ექსპერტმა აღნიშნა რომ,აქვს დამატებითი ორი სწავლის შედეგი. პროგრამა სწავლის პირველ სემესტრში ითვალისწინებს საველე გასვლას, რაც მათი თქმით მნიშნელოვანია არსებული უნარების გასავითარებლად. პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიური აკადემიური და მოწვეული პერსონალი. სტუდენტებს კვლევითი პროექტების ფარგლებში შესაძლებლობა აქვთ ინდივიდუალურად იმუშაონ აღნიშნულ პერსონალთან. სასწავლო კურსების თეორია და ლაბორატორია ცალცალკე ისწავლება და უზრუნველყოფს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ უნარების განვითარებას. ლაბორატორიები უზრუნველყოფილია მაღალტექნოლოგიური ხელსაწყო დანადგარებით, რომელიც ძალიან თანამედროვეა და საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს. ასევე, მათი თქმით მნიშნელოვანია ისიც, რომ სტუდენტებს ხელმისაწვდომობა აქვთ ზემოთ აღნიშულ დანადგარებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართადაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ პოზიცია.

ქიმიის პროგრამის კოორდინატორის თქმით აღნიშნული ორი სილაბუსისშედეგები, რომელზეც საუბარი იყო და რომელიც თითქოსდა ჰგავდა ერთმანეთს იყო კვლევითი საგანი. პირველი ისწავლება მესამე კურსზე ხოლო მეორე მისი თქმით ბოლო დამამთავრებელ მეოთხე კურსზე. სწავლის შედეგები იმის მიხედვით თუ რას აირჩევს სტუდენტი შესაძლოა სხვადასხვა იყოს, მაგალითად ბიოქიმია ან პოლიმერია, ორგანული ან არაორგანული ქიმია, ამიტომ სწორედ ამ მიზეზით დაკონკრეტებისგან თავს იკავებს დაწესებულება. მათი თქმით სწორედ ამიტომაა შედეგები ზოგადი, რაც შეეხება შეფასების სისტემა ერთნაირია აქვთ წერილობითი ნაშრომი და პრეზენტაცია, რაც თავისთავად მსგავს შედეგებს იძლევა.მათი თქმით შესაძლოა სახეზე გქვონდეს იდენტური ტექსტი თუმცა მათში აუცილებლად მოიაზრება განსხვავებული შედეგი. სტუდენტი სხვადასხვა ჯგუფში სწავლობს სხვადახვა ხელსაწყოებს ისევე როგორც სხვადასხვა პრობლემებთან გამკლავებას, ამიტომ ეს საკითხები სხვადასხვა ჯგუფში არის რადიკალურად განსხვავებული. რაც შეეხება რჩევებს აღნიშნა, რომ არის პოზიტიური რჩევები და უნივერსიტეტი მზაობას აცხადებს მათ გამოსასწორებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მანანა კევლიშვილმა, რჩევის სახით აღნიშნა, რომ ძირითადი სასწავლო კურსები პროგრამაში განსაზღვრულია 170 კრედიტით, ხოლო თავისუფალი კომპონენტი მხოლოდ 20 კრედიტით, 170 კრედიტში მოიაზრება: ბიოქიმია, ორგანული ქიმია, ბუნებრივ ნაერთთა ქიმია, და მაღალმოლეკულური ნაერთები, სადაც საკითხები საკმაოდ ფარავს ერთმანეთს, შესაბამისად მისი რჩევით უკეთესი იქნებოდა წარმოდგენილ სილაბუსებში ერთი და იგივე საკითხები დასათაურდეს მისი კონტექსტის შესაბამისად, რათა გამოირიცხოს საკითხთა გადაფარვა. ბუნებრივ ნაერთთა ქიმიაში მისი თქმით განხილულია: ჰერბიციდები, ფუნგიციდები, პესტიციდები. ფუნგიციდები და პესტიციდები შესაძლებელია ბუნებრივი ნაერთებიდან გამოვყოთ, მაგრამ ჰერბიციდი ბუნებრივ ნაერთებში არ განიხილება, ამიტომ სასურველია გადაიხედოს აღნიშნული სილაბუსის საკითხები, რათა ჰერბიციდი ამოღებულ იქნას ბუნებრივი ნაერთებიდან.

გაჟღერდა ასევე კითხვა, რომელიც ეხებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, კერძოდ როგორ შეიძლება სტუდენტმა, რომელსაც მანამდე არ აქვს ინგლისური ნასწავლი დაძლიოს იმ ლიტერატურა რომელიც პროგრამაშია მითითებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებობს 3 კვირიანი საორიენტაციო კურსი, სადაც ინტენსიურად დღეში 8 საათის განმავლობაში გადიან ინგლისურს სტუდენტები , მათ უსასყიდლოდ სთავაზობენ ინდივიდუალურად შედგენილ კურსს, მანამ სანამ ისინი არ მიაღწევენ B2 დონეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:28
დასრულების დრო:16:40

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, დამატებით განსაზღვრა რამდენიმე რჩევა, საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაცია და რჩევები გამოიყურება შემდეგნაირად:

რეკომენდაცია:
ჯუნიორ პროექტის და სენიორ პროექტი II-ის სწავლის შედეგები გაიწეროს კონკრეტულად, თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით, მინიჭებული კრედიტების შესაბამისად.

რჩევები:
დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებასა და განხორციელებაში, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;

გადაიხედოს და დაზუსტდეს ორი სასწავლო კურსის: ზოგადი ბიოქიმიის და თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საფუძვლების პრერეკვიზიტები;

სასურველია პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაზე გაიწეროს რომელი სასწავლო კურსი რა დონით ავითარებს კონკრეტული სწავლის შედეგს(1 -გაცნობა; 2 -გაღრმავება; 3 -განმტკიცება);

სასურველია გაიწეროს სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისათვის.

ძირითად სასწავლო კურსებში საკითხები მნიშვნელოვნად ფარავს ერთმანეთს, სასურველია წარმოდგენილ სილაბუსებში ერთი და იგივე საკითხები დასათაურდეს მისი კონტექსტის შესაბამისად, რათა გამოირიცხოს საკითხთა გადაფარვა.

ბუნებრივ ნაერთთა ქიმიაში განხილულია: ჰერბიციდები, ფუნგიციდები, პესტიციდები. ფუნგიციდები და პესტიციდები შესაძლებელია ბუნებრივი ნაერთებიდან გამოვყოთ, მაგრამ ჰერბიციდი ბუნებრივ ნაერთებში არ განიხილება, ამიტომ სასურველია გადაიხედოს აღნიშნული სილაბუსის საკითხები, რათა ჰერბიციდი ამოღებულ იქნას ბუნებრივი ნაერთებიდან.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ქიმიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2. მეორე საკითხი: შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N645, 8/11/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალმცოდნეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი, 0421
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტებისჯამურირაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქუჩა, N2,თბილისი N1, 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

3.მესამე საკითხი: შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი, 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტებისჯამურირაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქუჩა, N2,თბილისი N1, 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგან განიხილებოდა ერთი დაწესებულების სამართლის სხვადასხვა საფეხურის პროგრამები, ერთი და იმავე ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უმჯობესი იქნება მათი ერთად განხილვა.

მეორე და მესამე საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააჟღერა ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები:

სტანდარტი 2.2
მიზანშეწონილია, პროგრამაში ნათლად იყოს ასახული და კონკრეტიზირებული არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც ამ კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს 10 კრედიტის დაგროვების შესაძლებლობას მისცემს;

მიზანშეწონილია, განისაზღვროს სტუდენტების ინგლისურის ცოდნის შესაბამისი დონის განსაზღვრის წესი, რომლითაც დადგინდება სტუდენტის მიერ მისი ცოდნის დონის შესაბამისი ინგლისურის სასწავლო კურსების სწავლება;

სტანდარტი 2.6
სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების ზუსტი და მკაფიო კრიტერიუმები ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

პროგრამის განვითარების მიზნით ექპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რჩევებიც, პირველი შეეხებოდა სტანდარტის 1.1 კომპონენტს, რომელიც წარმოადგენდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას. უნივერსიტეტს გააჩნია ზემოთ ხსენებული სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს ავტორიზაციის სტანდარტიდან გამომდინარე დოკუმენტს, თუმცა სასურველია უშუალოდ პროგრამისკენ იყოს ორიენტირებული ინტერნაციონალიზაციის საკითხი. მეორე რჩევა შეეხებოდა სტანდარტის 2.2 კომპონენტს, რომელიც გულისხმობდა არჩევითი საგნების მოდულის გაფართოებას. ექსპერტმა დაასახელა კონკრეტული საბაზისო საგანი მაგალითისთვის არბიტრაჟი, რომელიც მისი თქმით საკმაოდ მნიშვნელოვანი და მოთხოვნადია სხვადასხვა სასწავლო პროგრამებში. სტანდარტის 4.3 კომპონენტი შეეხებოდა პროგრამა კოდექსით სარგებლობას, მისი თქმით სასურველია სტუდენტებს და ლექტორებს ჰქონდეთ უფრო მეტი წვდომა პროგრამასთან. ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით აღნიშნა რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ძალიან კარგი კითხვარები, რომლებიც მორგებულია ხარისხის შემოწმებაზე, თუმცა მას შემდეგ რაც გამოკითხვებში მონაწილეობა ნებაყოფლობითი გახდა იმგვარ ეფექტს ვეღარ იძლევა როგორც ადრე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ პოზიცია.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ისაუბრა არსებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით, მან აღნიშნა, რომ ეს არის სტუდენტის საერთო თვალსაწიერის გაფართოებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსი, ისინი სთავაზობენ მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით პროგრამებზე დათქმის წინაპირობითა და სემესტრის გათვალისწინებით ინფორმაციას და ასევე შესაძლებლობას ელექტრონული პროგრამების მეშვეობით აირჩიონ ის რაც სურთ. დამატებით, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაეცნონ პროგრამის სილაბუსებს მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ თუ რომელი სასწავლო კურსი იქნება მათთვის სასურველი.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინგლისურის დონის განსაზღვრის წესი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების მიხედვით და მათი შესწავლისათვის ისინი სტუდენტებს სთავაზოვენ სამ პაკეტს: A1,A2,B1. შესაბამისად სამივე პაკეტი უზრუნველყფოს სწავლებას ოთხივე სემესტრის განმავლობაში. ინგლისური ენის შესწავლა b2.1 დონეზე წარმოადგენს ბაზისს, ხოლო შემდგომ ხდება დარგობრივი ცოდნის გაღრმავება. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია პროცედურა, რომლის მიხედვითაც ხდება სტუდენტების შესაბამის ჯგუფებში გადანაწილება და ის განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე, ასევე გამოტანილია ცალკე გზამკვლევის სახით და ეცნობებათ ასევე სტუდენტებს საინფორმაციო შეხვედრების დროს, სწორედ ზემოანიღნული წესის შესაბამისად ირჩევს სტუდენტი ინგლისური ენის დონეს.

2.6 საერთო რეკომენდაციაა, როგორც სამაგისტრო ისე საბაკალავრო პროგრამაზეა მორგებული. მათი თქმით სტუდენტების შეფასება ხორციელდება კანონმდებლობიდან გამომდინარე რაც გულისხმობს რომ თითოეული კრიტერიუმი უნდა იყოს ადეკვატური, განჭვრეტადი და სამართლიანი შეფასების მეთოდი, ციფრობრიფ შეფასებასთან ერთად მნიშვნელოვანია თუ რა შინაარსობრივი დატვირთვა ექნება თითოეულ ქულას, რაც სტუდენტს საკუთარი განვითაარების შეფასების და განჭვრეტის საშუალებას მისცემს. შეფასაების კრიტერიუმი ლუწი იქნება თუ კენტი ეს არის აკადემიური თავისუფლების ფარგლები, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას თავად დაწესებულება იღებს, ასევე წყვეტს თუ რა იქნება ის კონკრეტული საზომი ერთეული. მთავარია აქცენტი უნივერსიტეტის წარმოამდგენელმა გააკეთეს იმის შესახებ თუ რამდენადაა ეს კრიტერიუმები თანხვედრაში სასწავლო კურსის შედეგებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის გამოყენებული ერთიანი მიდგომა, რაც ასევე აკადემიური თავისუფლების გამოხატულებაა, თითოეული სასწავლო კურსის განმახორციელებული თავად წყვეტს კურსის ფარგლებში რომელი შეფასების მეთოდი თუ კრიტერიუმი უნდა გამოიყენოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ საგანში ,,ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები" ყურადღება არ არის გამახვილებული საქართველოზე, კერძოდ არ ჩანს ქართული საკონსტიტუციო სასამართლო, სავალდებულო სახელმძღვანელოებში კი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა არ არის მითითებული პრაქტიკულად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკა, მითითებული სახელმძღვანელოებით რეალურად იფარება ადამიანის უფლებების თეორია, მაგრამ არ იფარება ადამიანის ძირითადი უფლებები საქართველოში. მისი თქმით სასურველია დაამატონ ქართული სასამართლო პრაქტიკა და გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, საბაკალავრო პროგრამას უნდა შეეძლოს ოპერირება ქართულ სინამდვილეში და მოამზადოს სამართლის ბაკალავრი ქართული სამართლებრივი რეალობისათვის. საბჭოს წევრმა ასევე ახსენა კოტე კუბლაშვილის სახელმძღვანელო და ურჩია დაწესებულებას მიეთითებინა მისი განახლებული, 2019 წლის ვერსია,რომელიც მისი თქმით უფრო მორგებულია თანამედროვე რეალობას.

დიმიტრი გეგენავამ ასევე ისაუბრა, საკონსტუტიციო სამართალწარმოების სასწავლო კურსთან დაკავშირებით. მისი მოსაზრებით, საკონსტუტიციო სამართალწარმოების საკითხების ნაწილი არის საკონსტიტუციო კონტროლის თეორიიდან და ადამიანის ძირითადი უფლებებიდან, რომელიც რეალურად გადანაცვლებული უნდა იყოს უფლებების ნაწილში, მათი გამიჯვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდებოდა თუ საგანს ერქმეოდა

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკის ანალიზი ან საკონსტიტუციო სამართალწარმოების ერთგვაროვანი პრაქტიკა. მისი აზრით უმჯობესი იქნება, რამდენიმე თემა რომელიც არ ეხება უშუალოდ საკონსტიტუციო სამართალწარმოებას იქნეს გადამუშავებული და საპროცესო დეტალებით გამდიდრებული.
საბჭოს წევრმა ასევე ყურადღება გაამახვილა სამართლებრივი წერის რამდენიმე საკითხზე, რომელიც უფრო მეტად იყო აკადემიური თემის წერის საკითხები. სამართლებრივი წერის მიზანია იურიდიული დოკუმენტაციის გამართვის ტექნიკის გადმოცემა, ხოლო აკადემიური წერის მიზანი მისი თქმით, დარგობრივ სამართლებრივ მიმართულებაში გამართული აკადემიური ნაშრომის შექმნის ტექნიკა და ამ ტექნიკის შექმნის უნარების ათვისებაა. ასევე მან ისაუბრა სტატიასა და ესეს ნაწილზე, რომლებიც მისი თქმით არ არის კლასიკური აკადემიური წერის ნაწილი.

შეჯამების სახით, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა რომ ,,ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ უმჯობესია გამდიდრდეს უშუალოდ ქართული მასალით და სასამართლო გადაწყვეტილებებით. საკონსტუტიციო სამართალწარმოების კურსში განივრცოს წმინდა პროცესუალური მხარე და სამართლებრივ წერაში აღწერიდან ამოღებულ იქნას აკადემიური წერის ნაწილი ის მთლიანად სამართლებრივ წერაზე გახდეს კონცენტრირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ,,ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით აღნიშნა რომ სილაბუსის ავტორი და კურსის განმახორციელებული არის ნანა მჭედლიძე, რომელმაც აკადემიური თავისუფლებიდან გამომდინარე მიაჩნია სილაბუსის ამგვარი სტრუქტურით აგება. საკონსტუტიციო სამართალწარმოების კურსთან მიმართებით მან აღნიშნა, რომ კურსის განმახორციელებელი არის როგორ თეორეტიკოსი, ასევე პრაქტიკოსი და კურსის შედგენის პროცესში მისი შინაარსობრივი ნაწილი ბევრი მსჯელობის შედეგია, საბჭოს წევრის მიერ აღნიშნული უფლებებთან მიმართებით გადაწყვეტილებები ეხება დაშვებადობა არდაშვებადობის ან დამწესრისგებელი სხდომის პრაქტიკიდან გამომდინარე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რაც არ უნდა განვიხილოთ ძირითადი უფლებების კონტექსტში. სამართლებრივ წერასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში არის სამი საგანი: კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, სამართლებრივი წერა, სამაგისტრო საფეხურზე აკადემიური წერის სტანდარტები, რომლებიც მათი დასახელებებიდან გამომდინარე შესაძლოა მოგვეჩვენოს დუბლირებად, მისივე თქმით თითოეულის შემუშავების დროს ყურადღება გამახვილდა თუ რა მიზანს ემსახურება ეს სასწავლო კურსები, ასევე ამ კურსების ფარგლებში რომ არ მომხდარიყო იმ საკითხების განხილვა რაც თანხვედრაში იქნებოდა აკადემიური წერის სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ექსპერტებს წარმოადგინათ მოსაზრებები ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციების თვალსაზრისით ის იდენტურია საბაკალავრო პროგრამისა, ერთადერთი განსხვავება არის შეფასების სისტემასთან მიმართებით და გაიცა შემდეგი რეკომენდაცია:

სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს შეფასების ზუსტი და მკაფიო კრიტერიუმები ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ზემოაღნიშნული რეკომენდაციის საფუძველი ხომ არ იყო ვიზიტის დროს სტუდენტებთან განხორციელებული ინტერვიუ და მათგან წამოსული უკუგება შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა რომ ნაწილობრივ რეკომენდაცია სწორედ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაიწერა, თუმცა არ ეხებოდა ყველა სილაბუსს და მიზნად ისახავდა რიგი სილაბუსების კორექტირებას და დაწესებულების მხრიდან ერთგვაროვანი სისტემის დანერგვას შეფასების სისტემასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა გაეცნენ თუ არა ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომებს. ჯგუფის ხელმძღვანელმა დაადასტურა რომ გაეცნენ სხვადასხვა შეფასების მქონე სამაგისტრო ნაშრომებს და ასევე გაესაუბრნენ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს.

დიმიტრი გეგენავამ ისაუბრა აკადემიური წერა და კვლევითი მეთოდების და სამოსამართლო სამართლის შესახებ. მისი თქმით, სამოსამართლო სამართალის საგნის სახელწოდება და შინაარსი არ შეესაბამება ერთმანეთს, რადგან კურსში მოცემული თემებიდან ძირითად ნაწილი სწორედ სამოსამართლო ეთიკას მიესადაგება და აღნიშნულის გამოსწორება მარტივად არის შესაძლებელი თუ საგანს გადაერქმევა სახელი და ეწოდება სამოსამართლო ეთიკა.
მან ასევე ყურადღება გაამახვილ აკადემიურ წერასთან მიმართებით და აღნიშნა რომ აღნიშნული კურსის სილაბუსში საჭიროა გადაიხედოს კვლევის მეთოდები, რადგან აქ შემოთავაზებული კვლევის მეთოდებიდან ძირითად ნაწილს სამართალი არ იყენებს, მაგალითად ინდუქცია დედუქცია, რომლის გამოყენების პრაქტიკა 5%-საც არ შეადგენს, ასევე სამართლის ეკონომიკური ანალიზის თემა კონკრეტული სახელმძღვანელოს ,,სამეცნიერო კვლევის მეთოდების“ მიხედვით არის წარმოდგენილი, სამართლის ეკონომიკურ ანალიზს არ აქვს კავშირი სამეცნიერო კვლევის მეთოდებთან და არის კლასიკური სამართლის ფილოსოფიის საკითხი. მისი თქმით, ასევე ამ სასწავლო კურსში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს ჰერმენევტიკული კვლევის მეთოდები, რაც გულისხმობს განმარტებით კვლევით მეთოდებს რაც ყველაზე მეტად სჭირდება სამართალს, შესაბამისად კარგი იქნება თუ მერვედან ბოლო თემის ჩათვლით გადაიხედება კვლევის მეთოდები და გაიზრდება აკადემიური წერის კომპონენტი და ამოღებულ იქნას სამართლის ეკონომიკური ანალიზი. რჩევის სახით ასევე, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა რომ პროგრამაში კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით შესანიშნავად არის მოცემული ევროპული სამართლის გავლენა ქართულ სამართალზე და კარგი იქნებოდა ამ მხრივ საჯარო სამართლის კუთხითაც ევროპული სამართლის რამდენიმე თემის დამატება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:30
დასრულების დრო: 17:40

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, განსაზღვრა რამდენიმე რეკომენდაცია მეორე სტანდარტის 2.2 ქვეკომპონენტთან მიმართებით, საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები გამოიყურება შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

აუცილებელია ,,ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების“ სასწავლო კურსი გამდიდრდეს უშუალოდ ქართული მასალით და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებებით, რათა სტუდენტმა მიიღოს ის ცოდნა, რომელსაც უშუალოდ ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში გამოიყენებს.

აუცილებელია საკონსტუტიციო სამართალწარმოების კურსში რამდენიმე თემა რომელიც, არ ეხება უშუალოდ საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესს, არამედ სამართალწარმოების პრაქტიკასთანაა დაკავშირებებული, ამოღებულ იქნეს, სილაბუსი გადამუშავდეს და განივრცოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესუალური საკითხებით.

სამართლებრივ წერის თემატიკის მესამედზე მეტი აკადემიური წერის საკითხებია, რის გამოც სილაბუსი უნდა შეიცვალოს, ამორებულ იქნეს აკადემიური წერის თემატიკა და დაემატოს უშუალოდ სამართლებრივ წერასთან და ანალიზთან დაკავშირებული საკითხები, რათა სრულად გავიდეს საგნის შედეგებზე.

რჩევები:

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მოდულის ფარგლებში პროგრამა სტუდენტებს მათ მიერ არჩეული მიმართულების მიხედვით აძლევს შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევისა და, შესაბამისად, საკუთარი პროფილის ფორმირების შესაძლებლობას, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და სტუდენტებს მეტი არჩევითობის შესაძლებლობა მიეცეთ მათი ინტერესების მიხედვით.

ვიზიტის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ პროგრამა კოდექსით სარგებლობა სტუდენტებსა და პედაგოგებს მხოლოდ უნივერსიტეტიდან შეუძლიათ. უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტებს და პედაგოგებს ამ ბაზიდან ნორმატიული მასალის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის მონაწილეობით, რაც დამატებით ბარიერებს ქმნის. სასურველია ეს საკითხი დარეგულირდეს ისე, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ საკანონმდებლო ბაზასთან წვდომა. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე გარედან.

ასევე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა იმუშავოს სამართალში განსაკუთრებულად აქტუალური რესურსების, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com -ს უნივერსიტეტში გამოყენების დანერგვაზე. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობის პრინციპზე, რამეთუ, აღნიშნული რესურსები ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს.

სასურველია აღდგეს ძველი პრაქტიკა რომლის დროსაც სტუდენტების გამოკითხვა ატარებდა ე.წ„სავალდებულო“ და არა „ფაკუტატურულ“ ხასიათს. ამით უზრუნველყოფილი იქნება შეფასების განხორციელების პროცესში უფრო მეტი პირის მონაწილეობა და შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, განსაზღვრა რამდენიმე რეკომენდაცია მეორე სტანდარტის 2.2 ქვეკომპონენტთან მიმართებით, საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები გამოიყურება შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

„სამოსამართლო სამართალი“ - საგნის შინაარსი სრულიად არ შეესაბამება საგნის სახელწოდებას. სილაბუსის თემატიკა კონცენტრირებულია სამოსამართლო ეთიკის საკვანძო საკითხებზე. აქედან გამომდინარე: 1. საგანს უნდა გადაერქვას სახელი და დაერქვას „სამოსამართლო ეთიკა“ ან 2. შეიცვალოს საგნის თემატიკა სრულიად და მოერგოს სამოსამართლოს სამართლის შინაარსობრივ მხარეს.

აკადემიური წერის სასწავლო კურსში გადასახედია მთლიანად კვლევის მეთოდების ბლოკი, ვინაიდან სილაბუსში მოცემული კვლევის მეთოდების მხოლოდ ნაწილია იურიდიული, ნაწილი კი აცდენილია სამართლებრივი კვლევის თემატიკას ან არ არის აქტუალური თანამედროვე იურიდიული მეცნიერებისთვის. აუცილებელია გაიზარდოს აკადემიური წერის თემატური ნაწილი, ხოლო იურიდიული კვლევის მეთოდები გადაიხედოს და კონცენტრირდეს სამართალში აკადემიური ნაშრომის შექმნისთვის გამოსადეგ მეთოდოლოგიაზე.

რჩევები:

სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას დაგეგმილი სტრატეგიისა და ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევითი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მოდულის ფარგლებში პროგრამა სტუდენტებს მათ მიერ არჩეული მიმართულების მიხედვით აძლევს შესაბამისი სასწავლო კურსების არჩევისა და, შესაბამისად, საკუთარი პროფილის ფორმირების შესაძლებლობას, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და სტუდენტებს მეტი არჩევითობის შესაძლებლობა მიეცეთ მათი ინტერესების მიხედვით.

ვიზიტის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ პროგრამა კოდექსით სარგებლობა სტუდენტებსა და პედაგოგებს მხოლოდ უნივერსიტეტიდან შეუძლიათ. უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტებს და პედაგოგებს ამ ბაზიდან ნორმატიული

მასალის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის მონაწიეობით, რაც დამატებით ბარიერებს ქმნის. სასურველია ეს საკითხი დარეგულირდეს ისე, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ საკანონმდებლო ბაზასთან წვდომა. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტების ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე გარედან.

ასევე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა იმუშავოს სამართალში განსაკუთრებულად აქტუალური რესურსების, როგორიცაა home.heinonline.orgდა www.lexisnexis.com -ს უნივერსიტეტში გამოყენების დანერგვაზე. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობის პრინციპზე, რამეთუ, აღნიშნული რესურსები ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად , შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 17:45სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა